

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ვაკანსიას შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის **ლოჯისტიკის განყოფილების სპეციალისტის** პოზიციაზე.

სამუშაოს სპეციფიკა: პოზიცია მოიცავს დინამიურ და მრავალმხრივ სამუშაოს საინტერესო და ძლიერი პროფესიონალების გუნდში, რაც საშუალებას აძლევს დასაქმებულს სრულად წარმოაჩინოს და განავითაროს თავისი შესაძლებლობები, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით.

მოვალეობები:

- ბაზრის კვლევა და სხვა მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება;
- შენობის და ტერიტორიის მოვლა-დასუფთავების და ტექნიკური მომსახურების ზედამხედველობა;
- ხელშეკრულების პროექტის მომზადება და მისი დროულად გაფორმების უზრუნველყოფა;
- გამარტივებული შესყიდვით საშუალებით შესყიდვის განხორციელების შემთხვევაში მიმწოდებლის მოძიება მასთან მოლაპარაკების წარმოება და ხელშეკრულების გაფორმება;
- დადებული ხელშეკრულებების მიმდინარეობის მონიტორინგი;
- მიმწოდებლების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლი;
- მოწოდებული საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს ხარისხისა და მოცულობის შესაბამისობის დადგენა მოთხოვნებთან;
- მოწოდებული საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს სათანადოდ დოკუმენტირება;
- კონკრეტული ძირითადი საშუალებებსა და მატერიალურ ფასეულობებზე პასუხისმგებლობა და კონტროლი (კომპეტენციის ფარგლებში).
- საწყობის მარაგების პერმანენტული მონიტორინგი ყოველდღიური მოხმარების მასალებისა და ინვენტარის მარაგების დროულად შევსების მიზნით;
- შენობა-ნაგებობისა და ეზოს დასუფთავების ზედამხედველობა;
- შენობის მუდმივად გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- საწყობში საქონლის შემოსვლისა და გასვლის აღრიცხვა/კონტროლი;
- საწყობში არსებული საქონლის პერიოდული შემოწმება და ინვენტარიზაცია;
- საწყობის აღრიცხვისა და მართვის პროცედურის დაცვა/კონტროლი;
- საწყობის ფუნქციონირების მონიტორინგი;
- შენობა-ნაგებობის ლოჯისტიკური მხარდაჭერა;
- შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის და ლოჯისტიკის განყოფილების უფროსის მითითებების შესრულება.

ძირითადი მოთხოვნები:

- განათლება: უმაღლესი განათლება;
- კომპიუტერული პროგრამები: MS Excel, MS Word, MS Outlook, MS Powerpoint - კარგად
- უცხო ენები: ინგლისური ენა - B1; რუსული ენა - B1

სასურველია:

- ლოჯისტიკის მიმართულებით ორწლიანი სამუშაო გამოცდილება.

საკანონმდებლო ბაზა: „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი; საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“; „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი; შესყიდვების განხორციელების წესი;

კომპეტენციები:

- გარე ან/და შიდა მომხმარებელის მომსახურებაზე ორიენტირებულობა;
- მოლაპარაკებების წარმართვა;
- ცვლილებების ინიცირება და მართვა;
- დაგეგმვის და ორგანიზების უნარი;
- შედეგზე ორიენტაცია;
- მოქნილობა და ცვლილებებზე ადაპტურობა;
- გუნდური მუშაობა;
- სტრესის ზემოქმედების ქვეშ მუშაობა.

ანაზღაურება - 1854 ლარი (დარიცხული)